საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ლაღიძის წყლები“

„ლაღიძის წყლები“ (შპს), ხილეულის წყლების მაღაზია თბილისში. გახსნა მ. ლაღიძემ 1906 ე. გოლოვინის (ახლანდ. შოთა რუსთაველის გამზირი №24) და 1926 თავისი ნებით გადასცა მთავრობას. მაღაზია შპს-დ ჩამოყალიბდა 1999 წ. 19 აგვისტოს. საერთო ფართ. 820 მ ^{2}, ჰქონდა ხილეულის წყლების, აგრეთვე ხაჭაპურის (ფენოვანი, იმერული და აჭარული) დარბაზები. გამოირჩეოდა ხილის სიროფების ფართო ასორტიმენტით: „კახური“, „ტარხუნა“, „შინდი“, „ლიმონი“, „ფორთოხალი“, „იზაბელა“, „ნაღები“, „შოკოლადი“, „კომში“ და სხვ., რ-ებსაც მ. ლაღიძის რეცეპტით სააქციო საზ-ბა „ლაღიძეში“ ამზადებდნენ. 2007 მაღაზია, რ-იც დედაქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილი იყო, თავის სარდაფთან ერთად დაიხურა.